



**Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Medicine**



**Georgian-Norwegian Collaborative
Master Program**

Public Health

საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი
სამაგისტრო პროგრამა «საზოგადოებრივი ჯანდაცვა»

პროგრამის აღწერა (თარგმანი)

*«საზოგადოებრივი ჯანდაცვა არის დაავადებათა
პრევენციის მეცნიერება და ხელოვნება»¹
«საზოგადოებრივი ჯანდაცვა ხელს უწყობს და იცავს
ადამიანების და სოციუმის ჯანმრთელობას იმ
გარემოში, სადაც ისინი ცხოვრობენ, სწავლობენ..»²*

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი ჯანდაცვა (Public Health)

საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი ინოვაციური სამაგისტრო პროგრამა «საზოგადოებრივი ჯანდაცვა» შემუშავებულია ნორვეგიის განათლების სფეროში საერთაშორისო კოოპერაციის ცენტრის (SIU) მიერ დაფინანსებული პროექტის CPEA-2015/10057 „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის (თსუ), ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის/ტრომსოს უნივერსიტეტის (ნორვეგია) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით.

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი (MPH)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო ჩიხლაძე, MD, PhD, ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, მედიცინის ფაკულტეტი, თსუ; პროექტის CPEA-2015/10057 „საქართველო-ნორვეგიის კოლაბორაცია საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ საქართველოს კოორდინატორი.

საერთაშორისო აკადემიური მრჩეველი: ტორალფ ჰასვოლდი, პროფესორი ემერიტუსი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი/ ტრომსოს უნივერსიტეტი, ნორვეგია.

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი (ოთხი სემესტრი)

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

სწავლების ენა: ინგლისური

¹ <http://www.euro.who.int/en/health-topics/Health-systems/public-health-services>

² <https://www.apha.org/what-is-public-health>

პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო სწავლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, სტუდენტზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლება. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალების ახალი თაობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალური ქსელის გარემოში, უზრუნველყოს დარგში მომავალი ლიდერებისათვის ფართო ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების შექმნა, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მიღების წინაპირობა:

- ბაკალავრის დიპლომი ჯანდაცვის მეცნიერებებში ან მომიჯნავე სფეროში (სოციალური მეცნიერებები ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები-სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ მიმართულებებში: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია, ბიოსტატისტიკა, გარემოს ჯანრთელობა, ჯანდაცვის ეკონომიკა, ჯანდაცვის მენეჯმენტი, ჯანმრთელობის ხელშეწყობა-5ECTS დადასტურების შემთხვევაში), ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომი.
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები (მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის);
- საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) ან B2 დონეზე ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებსაც გავლილი აქვთ საბაკალავრო პროგრამა ან ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე, განთავისუფლებულები არიან უცხო ენის გამოცდისაგან და მათ არ მოეთხოვებათ ენის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა.

საერთაშორისო სტუდენტები: უცხოური უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს უფლება ეძლევათ წარადგინონ აპლიკაცია პროგრამაზე ჩასარიცხად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საიტზე: <http://mes.gov.ge/content.php?id=1131&lang=geo>

პროგრამის დასაწყისი

პროგრამა ყოველწლიურად იწყება შემოდგომის სემესტრში. ყოველი სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები ხელმისაწვდომია თსუ-ს ვებ-გვერდზე: <https://www.tsu.ge/>.

სწავლის შედეგები: სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს

ა) ცოდნა და გაცნობიერება – ექნება საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონცეფციის და მეთოდების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა; შეუძლია სირღმისეულად გააცნობიეროს მოსახლეობის ჯანმრთელობის სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს დეტერმინანტები;

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეძლებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის კომპიუტერი პრობლემების იდენტიფიცირებას და მათ ახალ და გაუთვალისწინებელ გარემოში გადაწყვეტას მულტიდისციპლინური მიდგომით; უახლესი ეპიდემიოლოგიური და სტატისტიკური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნებით შეძლებს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, ჯანმრთელობის საჭიროებების შეფასებას, ჯანდაცვის ეკონომიკის პრონციპებზე დაყრდნობით ფინანსური მექანიზმების შემუშავებას;

გ) დასკვნის უნარი – შეძლებს საზოგადოებრივ ჯანდაცვაში რთული და არასრული ინფორმაციის, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, რისკის შეფასებას, ჯანდაცვის ეკონომიკის ჭრილში პროცედურების, ინტერვენციების, სტრატეგიების ან პოლიტიკის შეფასებას; საზოგადოებრივ ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავებას;

დ) კომუნიკაციის უნარი – შეძლებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე თავისი დასკვნების ეფექტურ კომუნიკაციას სპეციალისტებთან და ფართო საზოგადოებასთან ინგლისურ ენაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების შესაბამისად;

ე) სწავლის უნარი – შეძლებს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პროცესის მნიშვნელობის გაცნობიერებას;

ვ) ღირებულებები – შეძლებს ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულებების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

- ✓ ინტერაქტიული ლექციები, სემინარები მულტიმედია პრეზენტაციების და აუდიო/ვიდეო მასალების გამოყენებით
- ✓ მეცადინეობები კომპიუტერულ კლასში, ჯგუფში მუშაობა
- ✓ საშინაო დავალებები და ქვიზები
- ✓ პრეზენტაციები
- ✓ დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში
- ✓ დაკვირვება
- ✓ შემთხვევაზე, პრობლემაზე, როლურ თამაშზე დაფუძნებული სწავლება
- ✓ კრიტიკული ანალიზის მეთოდი

- ✓ სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა
- ✓ ელექტრონული სწავლების პლატფორმა „Moodle”

სტუდენტზე ორიენტირებული და უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე დაფუძნებული სწავლა/სწავლება ხელს უწყობს საკუთარ განათლებაზე სრული პასუხისმგებლობით სტუდენტების აქტიურ ჩართვას სწავლის განმავლობაში.

ორგანიზაცია და სტრუქტურა

პროგრამა მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითად პრინციპებს. პროგრამა ფარავს აკადემიური სწავლებისა და კვლევის კომპონენტს. მთლიანად სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (*1 კრედიტი - 25 საათი), რომელიც შემდეგნაირადაა განაწილებული: 80 კრედიტი გამოყოფილია რვა ძირითადი კურსისთვის (სამ-სამი სავალდებულო კურსი პირველ და მეორე სემესტრებში, ორი სავალდებულო კურსი მესამე სემესტრში). 10 კრედიტი გათვალისწინებულია არჩევითი კურსისთვის, სტუდენტი შეიძლება დარეგისტრირდეს არაუმეტეს 1 არჩევით კურსზე მესამე სემესტრში. მეოთხე სემესტრი განკუთვნილია კვლევითი კომპონენტისთვის-სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი).

I სემესტრი 30კრედიტი	მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვა 10კრედიტი სავალდებულო	ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I 10კრედიტი სავალდებულო	გარემოს ჯანმრთელობა 10კრედიტი სავალდებულო
II სემესტრი 30კრედიტი	ჯანდაცვის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა 10კრედიტი სავალდებულო	ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II 10კრედიტი სავალდებულო	ჯანმრთელობის ხელშეწყობა 10კრედიტი სავალდებულო
III სემესტრი 30კრედიტი	ბიოეთიკა 10კრედიტი სავალდებულო	კვლევის მეთოდები და სამეცნიერო წერა 10კრედიტი სავალდებულო	საერთაშორისო ჯანმრთელობა 10კრედიტი გლობალური ჯანმრთელობა 10კრედიტი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პოლიტიკა და პროგრამები 10კრედიტი არჩევითი

IV სემესტრი 30კრედიტი	სამაგისტრო ნაშრომი 30კრედიტი სავალდებულო
--------------------------	--

თითოეული სემესტრში სააუდიტორიო მეცადინეობები გრძელდება 15 კვირის განმავლობაში. კურსების უმეტესობა ჩატარდება კვირაში ერთხელ ან ორჯერ, თუმცა ზოგიერთი სავალდებულო კურსი (მაგალითად გარემოს ჯანმრთელობა, ბიოეთიკა) და არჩევითი კურსები შესაძლებელია ჩატარდეს ინტენსიურად კურაციული სახით

მოწვეული საერთაშორისო ლექტორის ვიზიტის ან სტუდენტთა მობილობის შემთხვევაში. სასწავლო კურსის ჩატარების ფორმა/ცხრილი წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან.

სამაგისტრო ნაშრომი

სამაგისტრო ნაშრომი არის ორიგინალური კვლევითი პროექტი, რომელსაც ასრულებს სტუდენტი აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობით. მესამე სემესტრის ბოლოს სტუდენტი ირჩევს სასურველი თემის სათაურს შემოთავაზებული პროექტების ჩამონათვალის მიხედვით. ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს 40-60 გვერდი, ლიტერატურის გარეშე. სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ნაწერი ნაშრომი და შემდეგ ეტაპზე მოხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება შიდა ექსპერტის მიერ, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სწორედ განსაზღვრული საკვლევი თემა, სამეცნიერო ლიტერატურის გააზრება და კრიტიკული ანალიზი, კვლევის მეთოდოლოგია, დასკვნების ან რეკომენდაციების რელევანტურობა. სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება შიდა ექსპერტების კომისიის მიერ. უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ კურსის აღწერილობა (სილაბუსები).

შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება შემდეგი შეფასების სისტემით:“ საუკეთესო“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, „საკმარისი“, „არადამაკმაყოფილებელი“, „ჩაჭრა“.

ქულა	მნიშვნელობა	შეფასების კლასიფიკაცია
91% -100%	(A) “საუკეთესო”	დადებითი
81% -90%	(B) “ძალიან კარგი”	დადებითი
71% -80%	(C) “კარგი”	დადებითი
61% -70%	(D) “დამაკმაყოფილებელი”	დადებითი
51% -60%	(E) “საკმარისი”	დადებითი
41% -50%	(FX) “არადამაკმაყოფილებელი” (ჩაჭრა,განმეორებით გამოცდაზე გასვლის უფლებით)	უარყოფითი
0%-40%	(F)“ჩაჭრა” (სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს კურსი)	უარყოფითი

თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებულია შეფასების საკუთარი მეთოდები. სტუდენტის საბოლოო ქულა განისაზღვრება გამოცდამდე მიღებული კომპონენტებისა (60%) და საბოლოო გამოცდის (40%) ჯამით. უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ კურსის აღწერილობა (სილაბუსები).

აკადემიური პატიოსნება და პლაგიატი

„პლაგიატი არის სხვისი ნაშრომის მისაკუთრება ან გამოყენება წყაროს მითითების გარეშე; სხვისი ნაშრომის საკუთრად გამოცხადება“¹

სტუდენტი ვალდებულია გაიაზროს აკადემიური პატიოსნებისა და პლაგიატის კონცეფცია. იმისათვის, რომ სტუდენტმა პატივი სცეს აკადემიური ეთიკის სტანდარტებსა და თავიდან აირიდოს პლაგიატი, სტუდენტები ინფორმირებულები იქნებიან აკადემიური პატიოსნების, სამეცნიერო კვლევისა და პლაგიატის შესახებ სწავლების პირველივე წელს და ასევე სასწავლო კურსის „აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევა“ ფარგლებში მესამე სემესტრში.

რესურსების აღწერილობა

სტუდენტები გამოიყენებენ თსუ-ს რესურსებს (საკლასო ოთახები, კომპიუტერული ოთახები, ბიბლიოთეკა, ელექტრონული სწავლების და სწავლის პლატფორმა, ელექტრონულ რესურსებზე წვდომა, როგორცაა HINARI, Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR) და ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რესურსებს (ოთახები, ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ანგარიშები, მონაცემთა ბაზებზე წვდომა, მონაცემები ჯანმრთელობის ეროვნული რეგისტრებიდან).

საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობითი სამაგისტრო პროგრამის პერსონალი

სტუდენტებს ასწავლიან და ხელმძღვანელობას გაუწევენ თსუ-ს პროფესორები, ექსპერტები დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან და საერთაშორისო ლექტორები, რომელთაც აქვთ შესაბამისი განათლება, აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილება.

ნინო ჩიხლაძე - MD, PhD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

პაატა იმნაძე - MD, PhD, თსუ პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ნატა ყაზახაშვილი- MD, PhD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

ქეთევან დადიანი - MD, PhD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

ლაშა ლორია- MD, MPH, PhD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

ნატო ფიცხელაური- MD, MBE, PhD, თსუ პოსტდოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი.

გიორგი ლობჯანიძე- MD, PhD, მოწვეული ლექტორი.

ეკატერინე რუაძე- MD, MSc, PMP, მოწვეული ლექტორი.

ნიკოლოზ ჩხარტიშვილი- MD, PhD, მოწვეული ლექტორი.

გიორგი ჩახუნაშვილი- MD, PhD, მოწვეული ლექტორი.

საერთაშორისო მოწვეული ლექტორები:

ტორალფ ჰასვოლდი - პროფესორი ემერიტუსი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

აგე ვიფსტადი - პროფესორი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია.

ერიკ ეიკ ანდა - ასოცირებული პროფესორი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია.

ფინ ეგილი - პროფესორი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია.

ტორმოდ ბრენი - ასოცირებული პროფესორი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია.

შარლოტა რილანდერი - ასოცირებული პროფესორი, ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია.

ინგვილდ ნედბერგი - სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტი (ტრომსოს უნივერსიტეტი), ნორვეგია.

კურსების აღწერილობები (სილაბუსები)

გთხოვთ, იხილოთ დეტალური ინფორმაცია N1 დანართში.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება

თსუ რეგულარულად აფასებს საგანმანათლებლო გარემოსა და ლექტორების მიერ შესრულებულ სამუშაოს. ყოველი სემესტრის ბოლოს, გამოკითხვა ტარდება თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებაში და სტუდენტები ანონიმურად ავსებენ კითხვარს. სტუდენტთა აზრი მნიშვნელოვანი ინდიკატორია სწავლების ეფექტურობის შესაფასებლად, სწავლების მეთოდებისა და კურსის შინაარსის იმ საკითხების გამოსავლენად, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

დასაქმების შესაძლებლობა:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა იძლევა კვალიფიკაციას, რაც მოეთხოვებათ კანდიდატებს ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაწესებულებებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე ორიენტირებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში წამყვან პოზიციებზე თანამდებობის დასაკავებლად.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამაზე, როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, ასევე საზღვარგარეთ.

სტუდენტთა მომსახურება

თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურების ცენტრი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას და უწევს კონსულტაციებს აკადემიური, სოციალური, ჯანმრთელობის და უნარშეზღუდულობის საკითხებზე.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახური (საერთაშორისო სტუდენტთა განყოფილება) სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას და უწევს კონსულტაციებს საერთაშორისო სტუდენტებს.

გთხოვთ, იხილოთ დეტალური ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ ინგლისურ ენაზე შემდეგ ლინკზე: <https://www.tsu.ge/en/>

https://www.tsu.ge/en/prospective_students/

დამატებითი ინფორმაცია:

ნორვეგიის განათლების სფეროში საერთაშორისო კოოპერაციის ცენტრის (SIU) მიერ დაფინანსებული პროექტის CPEA-2015/10057 „საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ ხანგრძლივობაა 4 წელი (01.03.16-31.12.19). პროექტის მიზანია საქართველოში საზოგადოებრივ ჯანდაცვაში კომპეტენციების გაძლიერება ახალი, საერთაშორისო, მაღალი ხარისხის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის განვითარების გზით. პროექტი მიზნად ისახავს სამაგისტრო დონეზე სტუდენტებს შეასწავლოს საქართველოში ახლად დაწარმოებული ჯანმრთელობის ეროვნული რეგისტრების დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზის გამოყენება. ამასთანავე პროექტის ფარგლებში რეგისტრებზე დაფუძნებული ეპიდემიოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში არსებული ცოდნის ტრანსფერისათვის ნორვეგიიდან საქართველოში გათვალისწინებულია სტუდენტთა ხანმოკლე და ხანგრძლივი მობილობა ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტში (ნორვეგიაში) ინდივიდუალური კურსებისათვის, ერთობლივი კურსებისათვის, სემესტრული გაცვლისა და სამაგისტრო ნაშრომებზე ხელმძღვანელობისათვის.

თსუ მონაწილეობს ერაზმუს მუნდუსის საგარეო თანამშრომლობის პროგრამაში და სტუდენტების გაცვლისა და მობილობის სხვა პროგრამებში.

დიპლომი

თსუ-ს მიერ მოწოდებული დიპლომის დანართი შეესაბამება ევროპული კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ს ფორმატს. დიპლომის დანართი მოიცავს კურსის დასახელებებს, კრედიტების მოცულობას, შეფასებას და GPA-ს.

პროგრამის გეგმა

კურსის დასახელება	კურსის სტატუსი (სავალდებულო /არჩევითი)	ლექტორი/ლექტორები	ECTS ჯამური რაოდენობა და საკონტაქტო საათების რ-ბა/დამოუკიდებელი სამუშაო საათების რ-ბა	კრედიტების განაწილება				
				სემესტრი				
				I	II	III	IV	ჯამი
მტკიცებულებებზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანდაცვა	სავალდებულო	ნ.ყაზახაშვილი ლ.ლორია	10 ECTS 45/205	10				10
ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I	სავალდებულო	პ.იმნაძე ე.რუაძე გ.ჩახუნაშვილი	10 45/205	10				10
ჯანმრთელობის ხელშეწყობა	სავალდებულო	ნ.ჩიხლაძე გ.ლობჯანიძე ნ.ფიცხელაური	10 45/205	10				10
ჯანდაცვის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა	სავალდებულო	ნ.ყაზახაშვილი ლ.ლორია	10 45/205		10			10
ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II	სავალდებულო	პ.იმნაძე ე.რუაძე გ.ჩახუნაშვილი	10 45/205		10			10
გარემოს ჯანმრთელობა	სავალდებულო	ქ.დადიანი ე.რუაძე	10 45/205		10			10
ბიოეთიკა	სავალდებულო	ნ.ჩიხლაძე გ.ლობჯანიძე ნ.ფიცხელაური	10 45/205			10		10
კვლევითი მეთოდები და სამეცნიერო წერა	სავალდებულო	პ.იმნაძე გ.ჩხარტიშვილი	10 45/205			10		10
საერთაშორისო ჯანმრთელობა	არჩევითი	ნ.ჩიხლაძე გ.ლობჯანიძე ნ.ფიცხელაური	10 30/220					10
დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პოლიტიკა და პროგრამები	არჩევითი	ნ.ყაზახაშვილი ლ.ლორია	10 30/220			10		ა5 10
გლობალური ჯანმრთელობა	არჩევითი	ლ.ლორია	10 30/220					ა5 10
სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო		30				30	30
				30	30	30	30	120

გამოყენებული წყაროები:

- Standards of World Federation of Medical Education/Standards for Master's Degrees in Medical and Health Professions Education, 2016
- European Core Competencies for MPH Education (ECCMPHE). ASPHER, 2011.
- European Core Competencies for Public Health Professionals, ASPHER, 2011
- Tuning Guidelines of Competence Development in the Study Field of Public Health, 2012
- National Center for Educational Quality Enhancement, National Qualification Framework <http://eqe.gov.ge/eng/static/125/national-qualifications-framework>
- Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Quality Assurance Department guidelines https://www.tsu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2011/472011

პროგრამის განხილვა/დამტკიცება

სამაგისტრო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა დამტკიცებულია:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სხდომაზე (15 ნოემბერი 2016 წ.);

მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე №70; 18 ნოემბერი 2016 წ.;

თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №13/2017 წელი; 10 თებერვალი, 2017 წელი.

სამაგისტრო პროგრამის დამტკიცებული შინაარსი და სტრუქტურა განხილულია:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი კომისიის სხდომაზე (31 ნოემბერი 2016 წ.)

ნორვეგიის არქტიკულ უნივერსიტეტში სამუშაო შეხვედრაზე (12 დეკემბერი 2016 წ.)

ანალოგი სამაგისტრო პროგრამები:

Department of Community Medicine, Faculty of Health Sciences, UiT The Arctic University of Norway, Norway

https://uit.no/utdanning/program?p_document_id=271255

Lund University, Sweden

<http://www.lunduniversity.lu.se/lubas/i-uoh-lu-VAPHE#description>

Johns Hopkins Bloomberg School of public Health, USA

<http://www.jhsph.edu/academics/degree-programs/master-of-public-health/>

